

შპს „სვიტსტარი“-ს 31 დეკემბრით დასრულებული 2024 წლის ფინანსური
ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	98 882	198 112	163 343	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	85 712	128 775	47 394	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	382 274	78 930	46 676	3.3, 3.4
მარაგები	454 180	508 548	461 371	3.5
- მზა პროდუქცია	21 036	21 676	25 029	3.5
- სხვა	433 144	486 872	436 342	3.5
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	48 864	303 135	412	3.3, 3.6
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	552	814	1 301	3.8
ძირითადი საშუალებები	733 873	606 645	975 612	3.7
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1 804 337	1 824 959	1 696 109	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	12 887	13 833	10 319	3.9
ვალდებულებების და ზარგების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		400		3.13
საგადასახადო ვალდებულებები	19 545	38 514	1 107	3.1
გამოუმუშავებელი შემოსავალი	12	17	552	3.13
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	34 737		823 051	3.11
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	163 616			3.12
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები			46 000	3.13
სულ ვალდებულებები	230 797	52 764	881 029	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში "კაპიტალი")				3.14
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1 573 540	1 772 195	815 080	3.14
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1 573 540	1 772 195	815 080	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 804 337	1 824 959	1 696 109	

შპს „სევიტესტარის“ დირექტორი

ანზორ სულაური



საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	1 402 369	1 638 970	3.15
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
სხვა	1 402 369	1 638 970	3.15
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1 096 200)	(1 161 067)	3.15
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	306 169	477 903	
სხვა შემოსავალი	2	928807	3.16
დასაქმებულთა ანაზღაურება	(339 864)	(207 475)	3.18
ცვეთა და ამორტიზაცია	(15 320)	(15 455)	3.18
საპროცენტო შემოსავალი	45 532	37 010	
საპროცენტო ხარჯი	(2 250)	(11 935)	3.19
ოჯარის ხარჯი	(64 347)	(61 544)	3.18
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(76 335)	(90 685)	3.18
სულ საოპერაციო ხარჯები	(452 582)	578 723	
საოპერაციო მოგება	(146 413)	1 056 626	
გაუქმებების (ხარჯი) რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავეალტო ოპერაციებიდან:	2 247	16 774	3.16, 3.19
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			3.16, 3.19
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებ	(144 166)	1 073 400	3.20
მოგების გადასახადი	(8 173)	(17 443)	3.20
მოგება/(ზარალი)	(152 339)	1 055 957	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერზი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(152 339)	1 055 957	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 772 195	815 080	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(46 316)	(98 842)	3.14
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 573 540	1 772 195	3.14

შპს „სევიტსტარის“ დირექტორი

ანზორ ხუდიაური

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სვიტსტარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2005 წლის 11 აპრილს გლდან-ნაძალადევის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 1/4-595. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 200132640, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ. #17. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2006 წლის 1 ივნისს.

1.2. კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709), 40%-იანი წილის მფლობელი თინათინ კირვალიძე (პ.ნ. 01018005257) და 10% წილის მფლობელი თეიმურაზ კურცხალია (პ.ნ. 01017011597)

1.3. კომპანიის დირექტორია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ორცხოზილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება.

1.5. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ფუნქციური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 25%;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 20%;

ინვენტარი - 10%;

სპეციალური ინსტრუმენტები - 20%;

სატრანსპორტო საშუალებები - 20%;

სხვა ავტოტრანსპორტი - 20%;

სხვა ძირითადი საშუალებები - 20%;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%;

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები - 50%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2024 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი;

1 EUR=2.9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	4591	20	3
ლარი საბანკო ანგარიშებზე	73136	95098	25014
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	21116	102947	137866
ევროები საბანკო ანგარიშებზე	40	47	45
სულ:	98882	198112	162928

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	85712	128775	47394
სულ:	85712	128775	47394

საწარმომ 2024 წლის ბოლოს დებიტორები შეადგენენ 71 ფიზიკურ და 96 იურიდიულ პირს.

3.3. გაცემული სესხები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
პარტნიორებზე გაცემული სესხები	210439	241778	
პარტნიორებზე გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	35075	15729	
სულ:	245514	241778	0

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	28	321	3358
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	136531	62880	43318
სულ:	136559	63201	46676

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	4137	6083	6083
ნედლეული და მასალები	428244	479561	427723
მზა პროდუქცია	21036	21676	25029
საწვავ-საცხები მასალები	149	613	1562
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	614	615	974
სულ:	454180	508548	461371

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება ავტომანქანების სათადარიგო სარემონტო და სამეურნეო მასალებისაგან.

3.6. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
წინასწარ ანაზღაურებული მომოსახურებები	201	425	412
წინსწრებით გადახდილი გადასახადები	48839	60932	23102
წინსწრებით გადახდილი გადასახადი საპენსიო ფონდში	25		
სულ:	49065	61357	23514

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
დაუმთავრებელი მშენებლობა			162756
მანქანა დანადგარები	14563	18204	22754
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	661	826	1032
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	128	170	227
ავტო	1006	1118	1242
ინვენტარი	31594	33564	10302
სპეციალური ინსტრუმენტები	126	158	197
სატრანსპორტო საშუალებები	5126	6407	9862
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	407	508	636
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	9109	10750	8184
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	8619	9576	8789
სულ:	71337	81281	225981

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.321 (501.8 კვმ)	35126.00	35126.00	35126.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის ქ.№28ა, არასასოფლო - სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.390) 225 კვ.მ)	36877.00	36877.00	36877.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის ქუჩა №28 ,	32788.00	32788.00	32788.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი , გლდანი ავშნიანი არასასოფლო - სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.318) 111.3 კვ.მ)	31219.00	31219.00	31219.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი , გლდანი ავშნიანი არასასოფლო - სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.608) 210 კვ.მ)	58920.00	58920.00	58920.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.322 (583 კვმ)	40810.00	40810.00	40810.00
მიწის ნაკვეთი (ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაგაზი, არასასოფლო -სამეურნეო, (ს/კ 72.03.08 253.608) 600 კვ.მ)	137172.00		
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.325 (934.2 კვმ)	65394.00	65394.00	65394.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.324 (978.9 კვმ)	97890.00	97890.00	97890.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.388) (497 კვმ)	67100.00	67100.00	67100.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.326) (438.8 კვმ)	59240.00	59240.00	59240.00
მიწის ნაკვეთი (ზარისახოს ქ. №118, არასასოფლო-სამეურნეო, ს/კ 01.11.01.017.162) (3584 კვმ)	0	0	224267
სულ:	662536	525364	749631

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2024 წლის ბოლოს - 253 125 ლარს;

2023 წლის ბოლოს - 238 068 ლარს.

3.8. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“		0	224
FMG სადისტრიბუციო პროგრამა	552	814	1077
სულ:	552	814	1301

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2024 წლის ბოლოს - 4 814 ლარი;

2023 წლის ბოლოს - 4 552 ლარი.

3.9. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	12887	13833	10319
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ			
სულ:	12887	13833	10319

31.12.2024 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 12 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	19545	38514	24209
სულ:	19545	38514	24209

საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2024 წლის დეკემბრის თვეში, რომლის დეკლარირებაც მოხდა 2025 წლის იანვარში.

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ბაზისბანკი სესხი №166816/004			465264
ბაზისბანკი სესხი №166816/007			355473
ბაზისბანკი სესხი №2024-11-15/002/BSN/166816/008	5318		
ბაზისბანკი სესხი №2024-11-15/006/BSN/166816/009	29419		
სულ:	34737	0	820737

მიმდინარე გადასახდელი პროცენტები	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ბაზისბანკი სესხი №166816/004			2171
ბაზისბანკი სესხი №166816/007			143
სულ:	0	0	2314

2024 წლის ნოემბერში საწარმომ აიღო ბანკიდან ორი გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში 100 000 ლარის და 101 000 ლარის ოდენობით.

3.12. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ბაზისბანკი სესხი №2024-11-15/002/BSN/166816/008	95294	0	0
ბაზისბანკი სესხი №2024-11-15/006/BSN/166816/009	68322	0	0
სულ:	163616	0	0

3.13. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიღებული ავანსები			
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	12	17	552
დავალიანება თანამშრომლების წინაშე (საპენსიო გადასახადი)		400	46000
სულ:	12	17	552

3.14. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	1573540	1772195	815080
სულ:	1573540	1772195	815080

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმომ გაანაწილა დივიდენდები 46 315 ლარის ოდენობით.

საწარმოს კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგენს 1 573 540 ლარს.

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2024 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

	2024 წელი	2023 წელი
პროდუქციის რეალიზაცია	1402369	1638970
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1096200	-1161067
სულ:	306169	477903

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2024 წელი	2023 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	9887	30429
არასაოპერაციო მოგება ძს რეალიზაციიდან		928807
საპროცენტო შემოსავლები	45532	37010
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (დღგ-ის დამრგვალებები)	3	
სულ:	55421	996246

3.17. საწარმოო და მიწოდების ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
საწარმოს ინვენტარის ხარჯები	-62	-745
სხვა საწარმოო ხარჯები (თანამშრომლების დაზღვევა უბედურ შემთხვევაზე, ლაბორატორიული ანალიზის ხარჯი, მატერიალური მარაგის კორექტირება)	-5151	-695
რეკლამის ხარჯები		-30
სხვა მიწოდების ხარჯები (დასუფთავების მოსაკრებელი)	-946	-946
სულ:	-6158	-2416

3.18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-336436	-205069
საპენსიო ფონდში გადასახადელი	-3443	-2406
იჯარის ხარჯები	-64347	-61544
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-2002	-2775
მიმდინარე სარემონტო ხარჯები	-4180	-3568
საწვავის ხარჯები	-7620	-9696
ცვეთა და ამორტიზაცია	-15320	-15455
საკომუნიკაციო ხარჯები	-2241	-2123
კომუნალური ხარჯები	-30757	-35981
საბანკო ხარჯები	-2572	-7474
საბანკო ხარჯები კონვერტაციის დროს	-873	-1831
საკონსულტაციო ხარჯები	-9000	-9000
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-10917	-15671
სულ:	-489709	-372594

3.19. არასაოპერაციო ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
საპროცენტო დანახარჯები	-2250	-11935
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-7640	-13656
საგადასახადო ჯარიმები და საურავები		-3
სხვა არასაოპერაციო ხარჯები (დღგ-ის დამრგვალებები და სხვა)		-146
სულ:	-9890	-25740

3.20. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

საწარმომ 2024 წელი დაასრულა 144 166 ლარი ზარალით. საანგარიშგებო პერიოდში განაწილდა წინა პერიოდის მოგების ნაწილი, რომლის მოგების გადასახადის ხარჯია 8 173 ლარი. საწარმოს გაუნაწილებელი მოგება 2024 წლის ბოლოს შეადგენს 1 573 540 ლარს.

3.21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 10 სექტემბერს.